თსუ-ს რექტორის 2026 წლის 5 თებერვლის №22/01-01 ბრძანების და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 19 თებერვლის №10/2026 დადგენილებით აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღებად დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი
29.03.2026

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე (კომისიის თავმჯდომარე), პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია (კომისიის მდივანი), ალექსანდრე კუხიანიძე პროფესორი (კომისიის წევრი), პროფესორი კორნელი კაკაჩია (კომისიის წევრი), პროფესორი რევაზ ჯორბენაძე (კომისიის წევრი), გორის უნივერსიტეტი პროფესორი ოთარ ჯანელიძე (კომისიის წევრი).

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ერთი (1) საშტატო ერთეული (კატეგორია „ბ“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება;
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა;

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზვიად აბაშიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

კერძოდ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ერთი (1) საკონკურსო თანამდებობაზე (კატეგორია „ბ“) საბუთები წარმოადგინა ორმა კანდიდატმა - ვლადიმერ ნაფეტვარიძემ და ნინო ხელაიამ. საკონკურსო დოკუმენტანციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესის შესაბამისად, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ორი კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ, კომისიის წევრებმა დეტალურად შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ორივე კანდიდატის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო მოწესრიგებული და შეიცავდა ინფორმაციას შეფასების ოთხივე კატეგორიის შესახებ. კერძოდ, კომისიის წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, პირველ კატეგორიაში - ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა - ორივე კანდიდატის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს. ასევე, შემდეგ სამი კომპონენტში: შესაბამისი პედაგოგიური გამოცდილება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სხვა სახის აქტივობები, ორივე კონკურსანტმა დაიმსახურა შეფასება „მაღალი“.

დოკუმენტაციის შეფასებისას კომისიის კომისიის წევრები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ კონკურსანტებს გააჩნიათ როგორც სწავლების შესაფერისი გამოცდილება, ისე მაღალი კვლევითი აქტივობა. თუმცა, კომისიის წევრები ასევე შეთანხმდენენ რომ კონკურსანტ ვლადიმერ ნაფეტვარიძის მონაცემები რამდენიმე მიმართულებით უპირატესია. კერძოდ,

- კონკურსანტმა ვლადიმერ ნაფეტვარიძემ განსახილველად წარმოადგინა ექვსი (6) სამეცნიერო სტატია, რომელთაგან ერთი გამოქვეყნებულია იმპაქტ ფაქტორის მქონე, Web of Science-ის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში; ორი სტატია - Scopus-ის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალებში; ორი სტატია - საერთაშორისო რეცენზირებად გამოცემებში (ERIH PLUS, DOAJ, Google Scholar); ხოლო ერთი სტატია - ქართულენოვან, Google Scholar-ში ინდექსირებულ ჟურნალში. კონკურსანტმა ნინო ხელაიამ განსახილველად წარმოადგინა 20 ნაშრომი, რომელთაგან კომისიამ მხოლოდ ორი (2) მიიჩნია სამეცნიერო სტატიად. კერძოდ, ერთი სტატია გამოქვეყნებულია საერთაშორისო კრებულში (გამომცემლობა Springer), ხოლო მეორე - ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია შემდეგ ბაზებში: EBSCO, ProQuest, Ulrich, თუმცა არ არის წარმოდგენილი მაღალი რეიტინგის მქონე ბაზებში (Web of Science/Scopus). დანარჩენი ნაშრომები წარმოადგენდა თარგმანებს, ბლოგპოსტებსა და პოლიტიკის დოკუმენტებს. კომისიის წევრები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტებებს გააკეთებდნენ აპლიკანტთან გასაუბრების ეტაპზე.
- კონკურსანტმა ვლადიმერ ნაფეტვარიძემ სასწავლო-მეთოდური მუშაობის დამადასტურებლად საკონკურსო კომისიას წარუდგინა მის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო, რომელიც კომისიის წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით აკმაყოფილებს მოთხოვნებს. კონკურსანტმა ნინო ხელაიამ სასწავლო-მეთოდური კომპონენტის ფარგლებში წარმოადგინა მის მიერ შედგენილი კურსის ე.წ. „რიდერი", რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ავტორის სტატიები. შესაბამისად, კომისიამ აღნიშნული დოკუმენტი არ მიიჩნია სასწავლო-მეთოდური პროდუქციის დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად.
- კონკურსანტ ვლადიმერ ნაფეტვარიძის ციტირების g ინდექსი შეადგენს 26, ხოლო კონკურსანტმა ნინო ხელაიას 22.

კომისიის წევრთა მიერ ღია კენჭისყრის საფუძველზე მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილებით, ორივე კონკურსანტი გადაყვანილ იქნა მეორე ეტაპზე, რაც მათთან ზეპირი გასაუბრების ჩატარებას გულისხმობდა. გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია განთავსდა საჯაროდ თსუ-ს ვებ-გვერდზე, ასევე კონკურსანტებმა მიიღეს ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

კონკურსის მეორე ეტაპზე, თსუ-ში დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, ჩატარდა ზეპირი გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტმა ვლადიმერ ნაფეტვარიძემ ისაუბრა საკუთარი მოტივაციის შესახებ და აღნიშნა, რომ მისი მთავარი მიზანია პოლიტიკის მეცნიერების სკოლის ინსტიტუციური გაძლიერების პროცესში აქტიური ჩართულობა. მისი განცხადებით, იგი მიზნად ისახავს ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტისა და პოლიტიკის ურთიერთობის შესახებ თანამედროვე ცოდნის სისტემურ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში და ამ მიმართულებით შესაბამისი აკადემიური აუდიტორიის განვითარებას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სფერო წარმოადგენს პოლიტიკის მეცნიერების ფარგლებში ახალ და სწრაფად განვითარებად მიმართულებას. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ სწავლების პროცესში ცდილობს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გადაცემას, არამედ სტუდენტების პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიურ ჩართვას. კერძოდ, როგორც „საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაციის" თანადამფუძნებელი, იგი კურსდამთავრებულებს სთავაზობს ორგანიზაციაში სტაჟირების

გავლის შესაძლებლობას. კონკურსანტმა ასევე ყურადღება გაამახვილა გენტისა და ლუვენის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გამოცდილებაზე და იქ არსებული სასწავლო-მეთოდოლოგიური პრაქტიკის თსუ-ში გადმოტანა-ადაპტირების პროცესზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრაციას. კომისიის წევრთა შეკითხვაზე, თუ სწავლების რომელ მეთოდოლოგიას ანიჭებს უპირატესობას, მან განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა „კეთებით სწავლების" მიდგომაზე, რაც, მისი შეფასებით, უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას და ცოდნის ეფექტიან ათვისებას როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებში. ასევე ხაზი გაესვა მის, როგორც ლექტორის, კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ხელოვნური ინტელექტისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მოითხოვს სასწავლო მასალების მუდმივ განახლებასა და ადაპტირებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და სტუდენტების კონკურენტუნარიანობის ზრდას. კომისიის წევრთა თხოვნით, კონკურსანტმა მიმოიხილა ერთ-ერთი თემა- ტექნოლოგიების, კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პოლიტიკურ პროცესებში. მან დაასაბუთა თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიების, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის, მნიშვნელობა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკურ პროცესებში და წარმოადგინა ამ მიმართულებით საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზი. კომისიის წევრთა კითხვები ასევე შეეხებოდა ხელოვნური ინტელექტის როლს პოლიტიკური პროცესების განვითარებაში, აგრეთვე ტექნოლოგიების არასასურველი მიმართულებით გამოყენების რისკებს. კონკურსანტის შეფასებით, აღნიშნული რისკების ეფექტიანი მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს სახელმწიფოთა მიერ ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის დროული ათვისება, სადაც განსაკუთრებული როლი ენიჭება აკადემიას, როგორც ცოდნის წარმოებისა და გავრცელების ინსტიტუციას.

შემდგომ გაიმართა გასაუბრება კონკურსანტ ნინო ხელაიასთან. გასაუბრების პირველ ნაწილში კონკურსანტმა ისაუბრა კონკურსში მონაწილეობის მოტივაციაზე და აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც საჯარო დაწესებულებაში, საქმიანობა მას მისცემს შესაძლებლობას სრულად გამოავლინოს საკუთარი კვლევითი და პროფესიული პოტენციალი. ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ გარკვეულწილად იცნობს ფაკულტეტის სპეციფიკას, რამდენადაც მონაწილეობა აქვს მიღებული ერთ-ერთი სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში, სადაც ასევე ასწავლიდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კომისიის თავმჯდომარის თხოვნით, კონკურსანტმა მიმოიხილა პოლიტიკური თეორიისა და სოციალური მოძრაობების სწავლების საკითხები. თემაზე არჩევანი შეჩერდა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსიდან გამომდინარე. კონკურსანტმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური თეორიის სწავლების მისეული მიდგომა ეფუძნება უფრო პოლიტეკონომიურ ხედვას და მიზნად ისახავს ეკონომიკური პარადიგმების მეშვეობით პოლიტიკური პროცესების ახსნას. ამასთან, მან მიუთითა, რომ ძალიან კარგად იცნობს ტრადიციული დასავლური პოლიტიკური თეორიებს და თვლის, რომ ისინი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესების ადეკვატურ განმარტებას, შესაბამისად იგივე პრობლემა ჩნდება საქართველოს შემთხვევის შესწავლის დროსაც. აღნიშნულის გამო კონკურსანტს მნიშვნელოვნად მიაჩნია ახალი თეორიული მიდგომების შემუშავება და დანერგვა. კონკურსანტის განცხადებით, იგი გეგმავს აღნიშნული მიმართულების განვითარებას საკუთარ სასწავლო კურსებში და ასევე აღნიშნა, რომ შესაბამისი თეორიულ პარადიგმების ჯეროვნად ფლობა ეხმარება მონაცემთა ანალიზის პროცესში. კონკურსანტმა ასევე ხაზი გაუსვა მის ჩართულობას საერთაშორისო (უნგრულ) კვლევით ჯგუფში, რომელიც მუშაობს სწორედ აღნიშნული თეორიული მიმართულებების განვითარებაზე. კომისიის წევრის შეკითხვის საპასუხოდ აპლიკანტმა აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

შესაბამის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, შეეცდება განავითაროს საქართველოში სოციალური სტრუქტურის კვლევის მიმართულება, რაც, მისი შეფასებით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების უფრო სიღრმისეულ გააზრებას. კომისიის თავმჯდომარემ კონკურსანტს დამატებით განუმარტა, რომ დოკუმენტაციის შეფასების ეტაპზე ბლოგპოსტები, თარგმანები, პოლიტიკის დოკუმენტები და სხვა მსგავსი ნაშრომები არ იქნა მიჩნეული სამეცნიერო სტატიებად. აღნიშნულთან დაკავშირებით კონკურსანტმა განმარტა, რომ ეს გარემოება მისთვის მოსალოდნელი იყო, თუმცა აღნიშნული ნაშრომების ანკეტაში მითითების მიზანს წარმოადგენდა მისი პროფესიული საქმიანობისა და პრაქტიკული გამოცდილების სრულად ასახვა.

გასაუბრების დასრულების შემდეგ კომისიის წევრებმა განიხილეს აპლიკანტებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები და ერთხმად აღნიშნეს, რომ კანდიდატებმა ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს და ლოგიკურად დაასაბუთეს მათი მოტივაცია პოლიტიკის მეცნიერების ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად. მათ ასევე საინტერესოდ და არგუმენტირებულად მიმოიხილეს სილაბუსში წარმოდგენილი საკითხები. აპლიკანტები საუბრობდნენ გამართულ აკადემიურ ენაზე და იცავდნენ სამეცნიერო კომუნიკაციის სტანდარტებს.

გასაუბრების შედეგების გაანალიზებისა და შეჯამების შემდეგ, ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შესარჩევად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. უზრუნველყოფილი იყო ფარულად ხმის მიცემის შესაბამისი პირობები. კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის შვიდივე წევრი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

ვლადიმერ ნაფეტვარიძე - მომხრე 6
ნინო ხელაია - მომხრე 1

კომისიის წევრთა საერთო პოზიციით მიღებული გადაწყვეტილება შეფასდა საფუძვლიანად და მართებულად, ვინაიდან საკონკურსო პროცესში გამოიკვეთა კონკურსანტ ვლადიმერ ნაფეტვარიძის უპირატესობა რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ,
ა) კონკურსანტ ვლადიმერ ნაფეტვარიძეს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები მაღალრეიტინგულ გამოცემებში (Web of Science - იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალი; Scopus), მაშინ როდესაც კონკურსანტ ნინო ხელაიას სტატიები არ არის წარმოდგენილი აღნიშნულ მაღალი რეიტინგის მქონე ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში;
ბ) ვლადიმერ ნაფეტვარიძის ციტირების ინდექსი უფრო მაღალია (26), ვიდრე კონკურსანტ ნინო ხელაიას ციტირების ინდექსი (22);
გ) ვლადიმერ ნაფეტვარიძემ სასწავლო-მეთოდური მუშაობის დამადასტურებლად წარმოადგინა მის მიერ ავტორობით მომზადებული სახელმძღვანელო, ხოლო კონკურსანტ ნინო ხელაიას მიერ წარმოდგენილი რიდერი (სხვადასხვა ავტორთა სტატიების კრებული) არ იქნა მიჩნეული სასწავლო-მეთოდური მუშაობის დამადასტურებელ დოკუმენტად.

კომისიის წევრები შეთანხმდნენ და ერთხმად **დაადგინეს,** რომ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, გამარჯვებულად გამოვლინდა ვლადიმერ ნაფეტვარიძე.

კომისიის წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ თსუ-ს ვებგვერდზე და ასევე გადაეცეს თსუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

სოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე
კომისიის თავმჯდომარე)



როფესორი მალხაზ მაცაბერიძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)



სოცირებული პროფესორი თამარ ქარაია
კომისიის მდივანი)



როფესორი ალექსანდრე კუხიანიძე (კომისიის წევრი)

პროფესორი კორნელი კაკაჩია (კომისიის წევრი)

როფესორი რევაზ ჯორბენაძე (კომისიის წევრი)



როფესორი ოთარ ჯანელიძე (კომისიის წევრი)